პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური
კულტურისა და სპორტის კომიტეტისა
და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту
при Совете Министров ГССР
и республиканского Совета профсоюзов

№ 19 (7580)

26 იანვარი,
ხუთშაბათი,
1984 წ.

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

სრულიად დაუშვებელია ხარვეზები და ნაკლოვანებანი სპორტსმენებთან იდეოლოგიურ, პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში. სამწუხაროდ, ზოგიერთ მათგანს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, საკმარისად არა აქვთ გამომუშავებული ისეთი დიდმნიშვნელოვანი თვისებები, როგორიცაა გამარჯვების სურვილი, სამშობლოს, ხალხის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა.

გავაუმჯობესოთ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, უფრო მასობრივი გავხადოთ იგი!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე 1984 წლის 21 იანვარს

ამხანაგებო!

ჩვენში სპორტი უყვართ და მას ყველა პატივს სცემს — ეს სრულიად უდავოა. და განა შეიძლება გულგრილად შეხვდე იმ აღმაფრთოვანებელ მომენტებს, რომლებითაც ასე უხვად გვაჯილდოებს იგი და რომლებიც ასე საოცრად შეესაბამება ჩვენი დროის სწრაფ რიტმსა და დინამიზმს!

მაგრამ სპორტით **გატაცება** და სპორტში **აქტიური მეცადინეობა** სულაც არ არის ერთი და იგივე. სწორედ ამიტომ, ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობაზე რესპუბლიკის მშრომელთა მოთხოვნების უკეთ დაკმაყოფილების ღონისძიებათა განსაზღვრასთან ერთად არანაკლებ საჭიროა კარგად მოვიფიქროთ ჩვენი მოსახლეობის ყველა კატეგორიის შესაბამის, მოთხოვნილებათა განვითარების ეფექტიანი გზები. საკითხის ამგვარი დაყენებისას იგი თავისი მნიშვნელობით შორს სცილდება წმინდა ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ფარგლებს.

სპორტი — ეს მარტო ძალა და სიმარდე როდია, ეს არის კიდევ უდიდესი შრომისმოყვარეობა, მაღალი თვითდისციპლინა და თავდადება, მიზანსწრაფულობა, გამარჯვების სურვილი და საქმის ერთგულება, ნამდვილი პატრიოტიზმი. ხასიათის ასეთი თვისებები აქვს მხოლოდ ჰარმონიულად განვითარებულ და ზნეობრივად სრულყოფილ პიროვნებას. ჩვენი მთავარი ამოცანაა თანმიმდევრულად გამოვუმუშაოთ, ჩამოვუყალიბოთ ეს თვისებები ყოველ საბჭოთა ადამიანს. ამგვარად, საქმე ეხება დაინტერესებულ **სახელმწიფო** მიდგომას ყველა პრობლემისადმი, ფიზკულტურისა და სპორტისადმი, როგორც **მთელი ჩვენი, თუ გნებავთ, ეკონომიკური, იდეოლოგიური, პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი უბნისადმი** დამოკიდებულებას.

თანამედროვე უაღრესად რთული საერთაშორისო მდგომარეობა, მთლიანად ქვეყანაში შექმნილი მწვავე დემოგრაფიული სიტუაცია გვაიძულებს განსაკუთრებული ყურადღებით მოვეკიდოთ ადამიანის ფიზიკური განვითარების საკითხებს. **მხოლოდ იმ საზოგადოებას შეუძლია ეფექტიანად იზრუნოს თავისი ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების ამაღლებისათვის, რომლის წევრებსაც კარგი ფიზიკური ჯანმრთელობა აქვთ.**

ამ ამოცანის გადაწყვეტა ასეთი, მე ვიტყოდი, გლობალური მოთხოვნების გათვალისწინებით შესაძლებელია მხოლოდ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი მეცადინეობით, სამინისტროებისა და უწყებების, შრომითი კოლექტივების მაღალი დაინტერესებით. სწორედ ამ მიზეზით ვუთმობთ ჩვენ ასეთ დიდ ყურადღებას ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების, მისი მასობრიობის ამაღლების პრობლემას და ბოლო წლებში აგერ უკვე მეორედ განვიხილავთ მას მთელი ჩვენი პარტიულ-სამეურნეო აქტივის დონეზე.

წარსულ კრებაზე ვცადეთ მისდამი მიგვეპყრო პარტიული და სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღება, რათა ყოველნაირად გაგვეაქტიურებინა მუშაობა, მიგვენიჭებინა მისთვის მეტი სიღრმე და აზრი. გარკვეული შედეგები უკვე იგრძნობა. ეს არის საქართველოს ზოგიერთი სპორტსმენის წარმატებული გამოსვლა მოსკოვის XXII ოლიმპიურ ასპარეზობაზე, მსოფლიო და ევროპის პირველობებზე, ქვეყნის ჩემპიონატებზე. ეს არის რესპუბლიკაში ფიზკულტურული მოძრაობის მასობრიობის შემდგომი ამაღლება. ეს არის სახელმწიფო ასიგნებათა მნიშვნელოვანი ზრდა, სერიოზული ძვრები, რომლებიც შეინიშნება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებაში.

შარშან მარტო სპორტკომიტეტის ხაზით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 1972 წელთან შედარებით 2,2-ჯერ მეტი სახსრები, ხოლო საქართველოს პროფსაბჭოს ბიუჯეტი ამ მუხლის მიხედვით ოთხჯერ გაიზარდა. ბოლო ათ წელიწადში დაფინანსების სხვადასხვა წყაროდან ამ მიზნებისათვის კაპიტალდაბანდებებმა უზარმაზარი თანხა შეადგინა. შესანიშნავი, თითქოს ახლად დაბადებული ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი და ბრწყინვალე, თავისებურად ერთადერთი ჭადრაკის სასახლე, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო სპორტული კომპლექსი და ცენტრალური ველოტრეკი თბილისში, ჩოგბურთის სასახლე და მძლეოსნობის დახურული მანეჟები! სპორტული ბაზები აიგო რუსთავში, ბათუმში, ცხინვალში, გალში, გურჯაანში, ყვარელში, თერჯოლაში, თელავში, ხობში, ამენდა ათობით სხვა ობიექტი.

მაგრამ მთელ ამ **რაოდენობრივ** ცვლილებებს მაინც არ მოჰყოლია სერიოზული **თვისებრივი** გარდატეხა, რომლის იმედი გვქონდა, და, გულახდილად რომ ვთქვათ, ველოდით კიდეც ფიზკულტურულ-მასობრივ და სპორტულ მუშაობაში. ასეთი გარდატეხა კი უაღრესად საჭიროა.

ამიტომ ჩვენ განსაკუთრებით გვიხარია, რომ აქტივის მუშაობაში მონაწილეობს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მარატ ვლადიმერის ძე გრამოვი. ჯერ კიდევ იმ პერიოდში, როცა მარატ ვლადიმერის ძე პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა, არაერთხელ დავყრდნობივართ მის მხარდაჭერას, დავრწმუნებულვართ ჩვენდამი მის კარგ დამოკიდებულებაში. ახლა თავის ახალ პასუხსაგებ თანამდებობაზე იგი კვლავ ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება ჩვენს რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ყველა საკითხს.

ჩვენ არსებითად უნდა გარდავქმნათ მთელი მუშაობა, ავიყვანოთ იგი **სწორედ ახალ თვისებრივ დონეზე.** სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ფუნდამენტური დადგენილება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების შესახებ“, რომლის არსი ის გახლავთ, რომ უკვე უახლოეს წლებში გადავაქციოთ ფიზიკურ კულტურაში, სპორტსა და ტურიზმში მეცადინეობა თითოეული საბჭოთა ადამიანის ყოველდღიურ მოთხოვნილებად. ეს საკითხები განსაკუთრებული პრინციპულობით დაისვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე, სადაც ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდობის ფიზიკურ განვითარებაში ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს და ხაზი გაუსვა, რომ ადამიანი სიყმაწვილიდანვე უნდა იცნობდეს თავის ორგანიზმს და შეეძლოს მისი მოვლა.

კარგი ფიზიკური ჯანმრთელობა, შრომისა და თავდაცვისათვის მაღალი მზადყოფნა კომუნისტური პიროვნების განუყოფელი თვისებებია.

I.

გასული წლის შემოდგომაზე ჯანმრთელობის დაცვის პრობლემებისადმი მიძღვნილ აქტივის კრებაზე დაწვრილებით შევეხეთ იმას, თუ რაოდენ საჭიროა უზრუნველვყოთ ყველა მშრომელის სრულფასოვანი ჯანმრთელობა და ხაზი გავუსვით, რომ **კარგი ჯანმრთელობა მაღალი შრომის ნაყოფიერების საწინდარი, მისი შემდგომი ინტენსიფიკაციის უცილობელი პირობაა,** ეს კი განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ძირეული მოთხოვნებია.

ფიზკულტურასა და სპორტს აქ წამყვანი როლი განეკუთვნება. ჩვენ გულწრფელად გვახარებს საბჭოთა სპორტსმენების წარმატებები და დიდად ვამაყობთ ამ წარმატებებით. თუმცა, რა თქმა უნდა, მედლები, პრიზები არ შეიძლება იყოს და არც უნდა იყოს თვითმიზანი. მთავარია ხალხის ჯანმრთელობა, ერის ჯანმრთელობა. სპორტი კი სწორედ ფიზიკური წრთობაა, ყველა სენისაგან განკურნების საუკეთესო საშუალებაა. სწორედ ამ პოზიციებიდან უნდა შევაფასოთ უწინარეს ყოვლისა ჩვენი მუშაობა.

ამასთან მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ისიც, რომ, როგორც ამბობენ, დიდი სპორტი მტკიცედ ეყრდნობა მასობრივ ფიზკულტურულ მოძრაობას, მისგან იკრებს ძალებს. და, მაშასადამე, მიღწეული შედეგებიც, რეკორდებიც გარკვეულწილად მთელი ფიზკულტურულ-მასობრივი საქმიანობის ეფექტიანობის კრიტერიუმია.

ამიტომ არ შეიძლებოდა არ შევეშფოთებინეთ საქართველოს სპორტსმენების წარუმატებელ გამოსვლას სსრ კავშირის ხალხთა ზაფხულის VIII სპარტაკიადაზე. არადა ეს ხომ ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მასობრივი და პოპულარული შეჯიბრებაა. სპარტაკიადამ თვალნათლივ ცხადყო, რომ სპორტის მთელ რიგ სახეობებში ჩვენში გარკვეული შეფერხება და დაქვეითებაა. რესპუბლიკაში შექმნილი სპორტული სკოლები ვერ გახდა მაღალი კლასის ოსტატებისა და სრულფასოვანი რეზერვის მომზადების საიმედო ბაზა. ბოლო წლებში ჩვენ დავთმეთ პოზიციები რესპუბლიკისათვის ისეთ ტრადიციულ სახეობებშიც კი, როგორიცაა ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ჭიდაობა და სხვ.

რაც შეეხება მძლეოსნობას, ცურვას, ნიჩბოსნობას, აქ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა შეიქმნა. სწორად გამიგეთ, სულაც არ ვისახავთ მიზნად სპორტის ყველა სახეობის განვითარებას ისეთ პატარა რესპუბლიკაში, როგორიც ჩვენია. ალბათ, ეს უბრალოდ არარეალურია. მაგრამ როგორ შეიძლება სერიოზულად განაცხადო პრეტენზია სპარტაკიადასა და სხვა კომპლექსურ შეჯიბრებებში გამარჯვებაზე, როცა ასეთი სავალალო მდგომარეობაა, მაგალითად, მძლეოსნობაში? იგი ხომ საერთო ფიზიკური მომზადების და მთლიანად სპორტის საფუძველია. ჩვენში სპორტის ამ სახეობაში მუშაობს 400-ზე მეტი მწვრთნელი, აშენებულია მძლეოსნობის ორი პირველხარისხოვანი მანეჟი, წინათ შესანიშნავი ტრადიციები გვქონდა. ჯეროვან უკუგებას კი ვერ მივაღწიეთ.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ აქ მთლიანად მიშვებულია საქმე. არ არის ელემენტარული წესრიგი სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ორგანიზაციაში. უხეშად ირღვევა შრომის დისციპლინა, არასასურველი ფორმები მიიღო შეთავსებამ მწვრთნელების მუშაობაში. შეინიშნება წამატებები სპორტსმენთა მომზადებაში, — ეს სპორტის ოსტატობის კანდიდატებსაც ეხებათ. ამის შედეგად უქმად იხარჯება უზარმაზარი სახელმწიფო სახსრები.

იგივე შეიძლება ითქვას ცურვაზეც. სპორტსმენების რა ხარისხოვან მომზადებაზე შეიძლება ლაპარაკი, თუ რესპუბლიკაში არსებული 100 საცურაო აუზიდან მხოლოდ 17 მოქმედებს? სპორტკომიტეტი, პროფსაბჭო, განათლების სამინისტრო, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, სპორტული საზოგადოებები, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან, პარტიულ კომიტეტებთან ერთად საფუძვლიანად უნდა გაერკვნენ, რატომ არ მოქმედებენ ეს ნაგებობანი და მიაგნონ საჭირო გადაწყვეტილებას.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მძლეოსნობა და ცურვა მშთ კომპლექსის საფუძველია და აქ, ისევე როგორც ნიჩბოსნობაში, რომლის განვითარებისთვისაც კარგი პირობები გვაქვს, თამაშდება მეტი წილი მედლები და ქულები.

სპორტულ მიღწევათა ზრდისათვის მთავარია, რა თქმა უნდა, **შეიქმნას სრულფასოვანი რეზერვი მოსწავლეთა და ახალგაზრდობის რიცხვიდან.** ამასთან საბავშვო და საყმაწვილო სპორტის განვითარებაში სერიოზულმა ხარვეზებმა გამოიწვია ის, რომ ჩვენი ჭაბუკი სპორტსმენები მეტისმეტად წარუმატებლად გამოდიან.

19 სპეციალიზებულმა სპორტულმა სკოლამ, სადაც მეცადინეობს 11 ათასზე მეტი კაცი, შარშან მოამზადა მხოლოდ ორი საერთაშორისო კლასის ოსტატი და 36 სსრ კავშირის სპორტის ოსტატი. ამასთან შეუიარაღებელი თვალითაც კი ჩანს, რომ რესპუბლიკის ახალგაზრდა სპორტსმენების ოსტატობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო საკავშირო დონეს. **ორიენტაციამ საშუალო-საკავშირო მაჩვენებლებისადმი, ზოგიერთი მიმართულებით კი ქვეყანაში საუკეთესო მაჩვენებლებისადმი, რომლებითაც გამოირჩევა ბოლო წლებში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ყველა დარგის განვითარება, უნდა განსაზღვროს და განავითაროს ჩვენი სპორტი, მიანიჭოს მთელ მუშაობას მეტი მიზანმიმართულება.**

ფიზკულტურასა და სპორტს უმჯობესია სწორედ ადრეული ასაკიდან ვაზიაროთ ახალგაზრდობა, რათა ეს ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილება იყოს ღრმა მოხუცებულობამდე. **ეს ადამიანების შრომითი და შემოქმედებითი პოტენციალის დამატებითი წყარო, ჩვენი სამშობლოს ძალისა და თავდაცვითი ძლიერების უმნიშვნელოვანესი პირობაა.** საჭიროა უკვე ბავშვობიდან გამოვუმუშაოთ ადამიანებს შესაბამისი ნებელობითი თვისებები, ჩავუნერგოთ, რომ მათი ფიზიკური ჯანმრთელობა მთელი სახელმწიფოს სიმდიდრეა.

რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა. ახლა სახალხო განათლების პრაქტიკულად ყველა დონეზე — საბავშვო ბაღი იქნება ეს თუ უმაღლესი სასწავლებელი — ინერგება **ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის** მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა. მაგრამ ჯერ კიდევ არის ჩვენში ბევრი ფორმალიზმი, და ეს ჩვენი მთავარი ნაკლია. მუშაობა თითქოს ძლიერდება, მაგრამ ამავე დროს მოსწავლეთა ნახევარზე მეტი არ მონაწილეობს კლასგარეშე და ფაკულტატიურ მეცადინეობებში. ფიზკულტურასა და სპორტში რეგულარულ მეცადინეობებში ჩაბმული არ არის პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა დაახლოებით 40 პროცენტი და ყოველი მეოთხე სტუდენტი.

შემოწმებით დადგენილია, რომ სკოლამდელ დაწესებულებებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, თბილისისა და რუსთავის, მცხეთის, მარნეულის, გორის, აბაშისა და ზოგიერთი, სხვა რაიონის პროფტექნიკურ სასწავლებლებში ფიზკულტურის გაკვეთილები დაბალ ორგანიზაციულ-მეთოდურ დონეზე მიმდინარეობს.

სერიოზული ნაკლოვანებები, ხარვეზები გვაქვს მშთ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისას. შემოწმებულთა რიცხვიდან მოსწავლეთა ნახევარზე მეტმა ვერ დაადასტურა მშთ ნორმების ჩაბარება და მთლიანად სუსტი საერთო ფიზიკური მომზადება გამოავლინა. ამას ვერაფრით ვერ შევურიგდებით. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბევრი ჩვენი სპორტული ხელმძღვანელი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, სამეურნეო მუშაკი საერთოდ სათანადოდ ვერ აფასებს ამ კომპლექსის უდიდეს საერთო სახელმწიფო მნიშვნელობას, შეგ-

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაუმჯობესოთ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, უფრო მასობრივი გავხადოთ იგი!

გაგრძელება

ნებული არა აქვს თვით მისი სახელწოდების — **მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის** — ღრმა აზრი. ჩვენი საზოგადოების წევრებს არა აქვთ ამაზე მაღალი და კეთილშობილი მოვალეობა! ეს თითოეული საბჭოთა ადამიანის კონსტიტუციური მოვალეობა, ჩვენი ქვეყნის მომავალი აყვავების საფუძველია!

ჩვენ ვთხოვთ ჩვენს პატივცემულ განათლებისა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრებს ამხ. ო. დ. ქინქლაძესა და ამხ. ღ. ი. ჩხიკვიშვილს, პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ს. ტ. რიგვავას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ამ საკითხს. ჩვენ ვიცით, რომ ბოლო დროს გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ახალ მოთხოვნათა გათვალისწინებით იგი კიდევ უფრო მეტად უნდა ისახავდეს მიზნად ნამდვილი მასობრიობის მიღწევას, უფრო სისტემატურად და კომპლექსურად წარიმართოს.

უნდა ავამაღლოთ განათლების სამინისტროსა და პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, შესაბამისი სამმართველოების როლი საბავშვო სპორტული სკოლების ხელმძღვანელობაში, გავაძლიეროთ ამ სისტემის ხელმძღვანელთა ავტორიტეტი, უწინარეს ყოვლისა ავტონომიურ ფორმირებებში, ქალაქებსა და რაიონებში. გადასასინჯია სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობაც ფიზიკური აღზრდის დარგში. მკვეთრად უნდა გავაძლიეროთ თითოეული ხელმძღვანელის, სკოლის დირექტორების, პედაგოგების პერსონალური პასუხისმგებლობა, უფრო ღრმად გავერკვეთ ფიზკულტურის მასწავლებლების კვალიფიციური კადრებით სასწავლებლების დაკომპლექტების პრობლემაში. უფრო პრინციპული რეაგირებაა საჭირო, მათ შორის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მხრივ, იმ ფაქტებზე, როცა ახალი სკოლის შენობები საექსპლოატაციოდ გადაიცემა სპორტული დარბაზებისა და მოედნების გარეშე. უნდა აღმოვფხვრათ ასეთი პრაქტიკა.

იქნებ ამიტომაც ურიგო არ იქნება ყურადღებით შევისწავლოთ წინადადება იმის შესახებ, რომ განათლების სამინისტროსა და პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტში შემოვიღოთ მინისტრის მოადგილისა და კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობები სამხედრო-პატრიოტული და ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის დარგში? მოდით ვითათბიროთ, ვიმსჯელოთ ამ საკითხზე. უმაღლესი სასწავლებლების სამინისტროს ხელმძღვანელებს, უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებს, მათ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ევალებათ უფრო აქტიურად წარმართონ ფიზიკური აღზრდისა და სპორტული კლუბების კათედრების საქმიანობა. უკეთ უნდა ჩავაბათ სხვადასხვა სპორტულ სექციებში სტუდენტი ახალგაზრდობა, ხოლო ფიზიკური კულტურის სისტემატურ მეცადინეობაში—პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობაც, მოვაწყოთ საზაფხულო ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები რესპუბლიკის ყველა უმაღლესი სასწავლებლებისათვის. **ფიზიკური აღზრდა მთლიანად კომუნისტური აღზრდის აუცილებელი ელემენტია.**

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს შეუთანხმებლობა სტუდენტური სპორტის ხელმძღვანელობაში, რომელსაც სხვადასხვა სასწავლებელში ახორციელებენ პროფსაბჭოს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სამინისტრო, კულტურის სამინისტრო, ჯანმრთელობის სამინისტრო, „ქარიშხალა“ და სხვ. ამხანაგები აყენებენ საკითხს ერთიანი პროფკავშირული უწყებრივი სტუდენტური სპორტული ორგანიზაციის შექმნისა და სხვადასხვა უწყებათა ბიუჯეტის გაერთიანების შესახებ. ვფიქრობთ, ეს წინადადება იმსახურებს სერიოზულ შესწავლას.

უფრო მეტს ველით დღეს კომკავშირისგან, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისგან. კომკავშირული ორგანიზაციები მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევენ ახალგაზრდობას შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდაში, არიან უმარტივესი სპორტული ნაგებობების მშენებლობის ინიციატორები, — ასეთი მუშაობის კარგი გამოცდილება შეიძინა, მაგალითად, მესტიის რაიონმა. მათ განეკუთვნებათ გადამწყვეტი როლი სპორტული გუნდების ჯანსაღი მორალური ატმოსფეროს შექმნაში, მათი საბრძოლო განწყობილების ჩამოყალიბებაში.

მაგრამ მე მგონია, ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ ვიყენებთ ჩვენი კომკავშირის უმდიდრეს შესაძლებლობებს ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდაში, ამ მოძრაობის მასობრიობის ამაღლებაში. მეტად სასარგებლო იქნება, ჩვენი აზრით, თუ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი სპეციალურ პლენუმს მიუძღვნის ამ პრობლემას.

II.

მეცადინეობა ფიზკულტურასა და სპორტში ღირსეულად უნდა აისახოს საწარმოებისა და მეურნეობების საწარმოო საქმიანობის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებში.

ვიყოთ მზად შრომისათვის — ეს ნიშნავს შეგვეძლოს მუშაობა მაღალნაყოფიერად და ხარისხიანად, გვქონდეს ამისათვის საჭირო ძალა, სიმარჯვე, კოორდინაცია, ზუსტი გაანგარიშების უნარი, ესე იგი ის თვისებები, რომლებსაც უყალიბებს ადამიანებს სპორტი. შემთხვევითი ხომ არ არის, რომ იმ მუშაკების შრომის ნაყოფიერება, რომლებიც ფიზკულტურასა და სპორტს მისდევენ, უფრო მაღალია, ვიდრე მათი კოლეგებისა, და ეს დადასტურებულია მრავალი მეცნიერული გამოკვლევით.

რესპუბლიკაში ბევრია შრომითი კოლექტივი, სადაც ფიზკულტურა და სპორტი მშრომელთა სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების განუყოფელი ნაწილი გახდა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანება, სადაც ეს მუშაობა ნამდვილად მასობრივი ხასიათისაა, შესაბამისი მაჩვენებლები შეტანილია სოციალისტური შეჯიბრების პირობებში. სპორტული და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის მაღალი დონე თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის საწარმოო წარმატებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. სერიოზულ ყურადღებას უთმობენ ამ საკითხს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოში“, ბათუმის ხისდამმუშავებელ კომბინატში და ა. შ.

რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების შექმნით, რომლებსაც დღეს საკმაოდ სოლიდური ცენტრალიზებული ფონდები აქვთ, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დაჩქარებული განვითარების კარგი შესაძლებლობები იქმნება **სოფლად**. რა თქმა უნდა, არა საწარმოო ამოცანების საზიანოდ.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება, და აგროსამრეწველო გაერთიანებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს დაავალა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „კოლმეურნის“ საბჭოებთან ერთად განახორციელონ ღონისძიებანი მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში რეგულარული მეცადინეობა ფიზკულტურასა და სპორტში უნდა მივიჩნიოთ მუშების, კოლმეურნეებისა და სპეციალისტების მომზადების სავალდებულო შემადგენელ ნაწილად.

მაგრამ როგორც ჩანს, საწარმოებისა და მეურნეობების ყველა ხელმძღვანელმა როდი შეიგნო ეს ჭეშმარიტება. ბევრი პასიურობას, გარკვეულ ინერტულობას ავლენს. აქ თავისი გადამწყვეტი სიტყვა შეუძლიათ თქვან ჩვენმა პროფკავშირებმა, რესპუბლიკის პროფსაბჭომ. ჩვენ ვთხოვთ ამხ. თ. ი. მოსაშვილს, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს შრომის ორგანიზაციისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში, სათავეში ჩაუდგეს ამ მუშაობას, შეისწავლოს შრომითს კოლექტივებში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობა.

უკიდურესად გამწვავებული თანამედროვე საერთაშორისო ვითარების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თავდაცვით-მასობრივი მუშაობის ყოველმხრივი გაძლიერების საკითხებს.

ვიყოთ მზად თავდაცვისათვის, მშობლიური სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის — ნიშნავს ფიზიკური აღზრდა მივიჩნიოთ სამხედრო-პატრიოტული აღზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტად. რესპუბლიკის ბევრ ქალაქსა და რაიონში ბოლო წლებში ცოტა როდი კეთდება მომავალი მეომრების უკეთესი ფიზიკური მომზადებისათვის. არმიაში ახლა გზავნიან უფრო ჯანმრთელ, ფიზიკურად ძლიერ ახალგაზრდა შევსებას. დიდ დახმარებას გვიწევენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების, სამხედრო ნაწილებისა და ქვეგანაყოფების სარდლობა და პოლიტორგანოები.

მაგრამ წვევამდელ და გასაწვევ ახალგაზრდობასთან თავდაცვით-სპორტულ მუშაობაში კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. თითქმის ყველა გაწვეული არმიაში მიდის მშთ ნიშნით, მაგრამ კომპლექსის ნორმებს ყველა როდი აბარებს. ამბროლაურის, ასპინძის, ახმეტის, ბოგდანოვკის, დუშეთის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მარნეულის რაიონებში შემოწმებული ახალგაზრდებიდან ბევრმა ვერ შეასრულა მშთ ნორმები, თავი ვერ გაართვა სროლაში ვარჯიშს. ასეთ ფორმალიზმს, მე ვიტყოდი, თვალის ახვევას, შეიძლება საშიში შედეგები მოჰყვეს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სამხედრო კომისარიატებმა გაცილებით მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ახალგაზრდობის ფიზიკურ მომზადებას, დაიკავონ ამ საქმეში უფრო აქტიური, შეტევითი, პრინციპული პოზიცია.

ახალგაზრდობისა და გასაწვევთა ფიზიკური აღზრდის საკითხთა გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა რესპუბლიკის დოსააფს. უკანასკნელ წლებში მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მნიშვნელოვნად განმტკიცდა. მაგრამ, ტექნიკურ და სამხედრო-გამოყენებით სახეობათა განვითარების დონე რესპუბლიკაში, — ეს კი მთლიანად დოსააფის კომპეტენციაა, — ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ავიღოთ, მაგალითად, საავიაციო სახეობათა სპორტი. რესპუბლიკაში ამ სახეობათა სპორტში რამდენიმე ათეული კაცია ჩაბმული. დროა უფრო ფართოდ შეიქმნას დოსააფის დიდ პირველად ორგანიზაციებში სპორტულ-ტექნიკური კლუბები, რომელთა დაფინანსება უნდა ხორციელდებოდეს საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციების სახსრებით. განა შეიძლება, მაგალითად, ნორმალურად ჩაითვალოს, რომ ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, ვოლგის საავტომობილო ქარხნის თბილისის ავტოცენტრში არ არის დანერგილი ავტოსპორტი, რომ არ არის სპორტულ-ტექნიკური კლუბები საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს სისტემაში, ბათუმის გემთსაშენებელ და ფოთის გემთშემკეთებელ-გემთსაშენებელ ქარხნებში?

ახლა დიდად მნიშვნელოვანია გავაერთიანოთ პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების, დოსააფის ორგანიზაციების, ადგილობრივი სამხედრო მართვის ორგანოების, ჯარის ნაწილების სარდლობისა და პოლიტორგანოების, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მეცადინეობა ამ საკითხთა გადაწყვეტისთვის, რომლებსაც დიდი სახელმწიფო მნიშვნელობა აქვთ.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ მოსახლეობის ყველა ფენაში ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობის ნამდვილ მასობრიობას, მთავარია გავაუმჯობესოთ მუშაობა **საცხოვრებელი ადგილის მიხედვით**. ამ საკითხზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებთან ფუნქციონირება დაიწყო ფიზკულტურისა და სპორტის საბჭოებმა, შემოღებულია სპორტის ინსტრუქტორის შტატი, ფართოდ გაიშალა სპორტული მოედნების მშენებლობა.

მაგრამ მეტ წილ შემთხვევებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის მდგომარეობა, ორგანიზაციულ-მეთოდიკური ხელმძღვანელობისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დონე, ფიზკულტურულ-სპორტულ ღონისძიებათა განხორციელების ხარისხი ჯერჯერობით ისევ დაბალია. ამ მუშაობაში თავისი ადგილი ვერ უპოვიათ ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილ მიკრორაიონების საბჭოებს. ფიზკულტურულ-მასობრივი ღონისძიებებისათვის გამოყოფილ სახსრებს წლითიწლობით სრულად ვერ ითვისებენ. ამბობენ, რომ აქვთ სიძნელეები სპორტული ინვენტარის შეძენასთან დაკავშირებით, მოწესრიგებული არ არის ცალკეული ფორმალური მომენტები. ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის და ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილებანი, მინისტრთა საბჭოს შესაბამისი განყოფილება ბოლომდე უნდა გაერკვნენ ამ საქმეში და, საჭიროების შემთხვევაში, წინადადებებით მიმართონ საკავშირო ორგანოებს.

მასობრივი მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე ხელმისაწვდომი და ადამიანთა ჯანმრთელობაზე სასიკეთო გავლენის მომხდენი ფორმაა ექსკურსიები და ტურისტული ლაშქრობები. მისი მასშტაბი ჩვენს რესპუბლიკაში წლითიწლობით ფართოვდება. მაგრამ საქმე როდი ეხება მარტო ტურიზმს, თუ შეიძლება ასე ითქვას, კლასიკური გაგებით. საჭიროა ვავითარებდეთ ადგილობრივ ტურიზმს, საოჯახო ტურიზმს, დასვენების დღის ტურიზმს და ა. შ. ბევრი საწარმო და ორგანიზაცია ქმნის საკუთარ დასვენების ზონებს და უშენებს მათ სპორტულ ნაგებობებს. საჭიროა, რომ ჯანმრთელობის ამ კერებს იყენებდნენ არა მარტო უწყებრივი პრინციპით, როგორც ამას მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის დადგენილება.

ამ ბოლო დროს მომრავლდნენ გამაჯანსაღებელი რბენის, სიარულის მოყვარულნი. ამის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუნდაც იმ ასობით ადამიანის მიხედვით, რომლებსაც დილაადრიან ვხედავთ სპორტულ კოსტიუმებში გამოწყობილს თბილისის ქუჩებში, კუს ტბის რაიონში და ა. შ. მაგრამ იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ენთუზიასტთაგან უმრავლესობის ბედი არავის არ აწუხებს. არ არის სისტემურობა, ორგანიზებულობა, საექიმო-სამედიცინო კონტროლი.

მეტად საჭიროა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მიაღწიოს, რომ დაუწესდეს საექიმო კონტროლი ყველა პირს, ვინც სისტემატურად მეცადინეობს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში. მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს ბავშვებისადმი საექიმო-სამედიცინო კონტროლი.

III.

სპორტი არა მარტო გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, შეჯიბრებები, წვრთნა, არამედ მეტად რთული **სამეურნეო მექანიზმიცაა**. საბჭოთა სპორტი შორს არის კომერციისაგან და ჩვენ ამას ვერ შევურიგდებით იქ, სადაც საქმე ეხება სპორტულ ორთაბრძოლას, სპორტულ ღირსებას, სპორტულ აღზრდას. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ არ უნდა დავზოგოთ თითოეული სახელმწიფო კაპიკი, როცა საქმე ეხება სპორტული ბაზებისა და ნაგებობების რაციონალურ გამოყენებას, მათგან შემოსავლის მიღებას, ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებას. ესეც საკითხის მნიშვნელოვანი მხარეა.

ახლახან ცენტრალურ კომიტეტში განვიხილეთ „დინამოს“ საქართველოს საბჭოს თბილისის სპორტული კომბინატის მუშაობის საკითხი. და შემთხვევით როდი დავიწყეთ სწორედ მისგან. კომბინატს აქვს მძლავრი მატერიალურ-სპორტული ბაზა, დიდი ფინანსური რესურსები. მაგრამ როგორ იყენებენ მათ? ნაგებობათა დატვირთვა მათ შესაძლებლობაზე გაცილებით უფრო დაბალია. გასული წლის ცხრა თვეში შემოსავლის გეგმა ნახევარზე ცოტა მეტად შესრულდა. ამ ბოლო დროს მკვეთრად შემცირდა ნაღდი ფულის შემოსვლა სპორტკომბინატის ბაზებში განხორციელებული ღონისძიებებისგან.

სამწუხაროდ, ასეთივე უყაირათობა, მიშვებულობა, არარენტაბელობა ახასიათებს სპორტნაგებობათა უმრავლესობას რესპუბლიკის თითქმის ყველა ქალაქსა და რაიონში. და აქ იმის დამოწმება, რომ მთავარია არა შემოსავალი, არამედ ადამიანთა ჯანმრთელობა, სრულიად უადგილოა.

უნდა გამოვიჩინოთ მეტი ინიციატივა. კარგია, მაგალითად, რომ ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობამ, როგორც იქნა, ხელი მოჰკიდა „ლოკომოტივის“ სტადიონის კეთილმოწყობას. ეს დიდი ხნის წინათ იყო საჭირო. ზოგჯერ გვრცხვენოდა, რომ ასეთი მშვენიერი და დიდი ნაგებობა დიდხანს ფაქტობრივად უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

ბევრი რამ არის დამოკიდებული თვით სპორტსმენთა გამოსვლების დონეზეც. თბილისის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდების წარუმატებელ თამაშებს მოჰყვა ის, რომ სტადიონებისაგან შემოსავალი 1981 წელთან შედარებით დაახლოებით ოთხჯერ შემცირდა. როგორც ჩანს, რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და ფინანსთა სამინისტრომ უკეთ უნდა მოიფიქრონ კლუბებისა და ცალკეული სპორტსმენების მატერიალური სტიმულირების ფორმები, უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირონ იგი გამოსვლების ხარისხს. ამასთან, უაღრესად საჭიროა არ შევქმნათ პირობები დარღვევებისათვის, რაც გავრცელებულია, სამწუხაროდ, სპორტული სამყაროს წარმომადგენელთა გარკვეულ ნაწილში.

უფრო ღრმად უნდა ჩავწვდეთ სპორტულ ორგანიზაციათა ფინანსურ-კომერციული საქმიანობის ყველა საკითხს. ვთხოვთ რესპუბლიკის სპორტკომიტეტს საქართველოს პროფსაბჭოსთან, ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან, „დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად შეიმუშაოს 1990 წლამდე სპორტულ ნაგებობათა გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების კომპლექსური მიზნობრივი პროგრამა.

შემოსავლის არანაკლებ მნიშვნელოვანი მუხლია **სპორტული საქონლის წარმოება**. აქ უდიდესი რეზერვები გვაქვს. ახლა რესპუბლიკის ერთ მცხოვრებზე საშუალოდ გამოდის ცხრა მანეთის სპორტული ფორმა და სპორტული ინვენტარი, მაშინ, როდესაც ესტონეთში — 32 მანეთისა, ლიტვაში — 35, ლატვიაში — 51 მანეთისა. ჩვენში მზადდება მხოლოდ 17 სახეობის სპორტულ-ტურისტული დანიშნულების საქონელი. ნაწარმის უმრავლესობის შემოტანა, ისეთი უბრალო ნაწარმისაც კი, როგორიცაა სახტუნელები, ჰანტელები, ორბორთულები, გვიხდება რესპუბლიკის ფარგლებს გარედან.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც სათავეში უდგას ამხ. ს. ე. ხაბეიშვილი, და სახალხო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის მუშაობის ორგანიზაციის ახლახან შექმნილმა რესპუბლიკურმა ცენტრმა აქტიურად მოჰკიდეს ხელი ამ პრობლემის გადაწყვეტას. მუშაობა მიმდინარეობს სსრ კავშირის სპორტკომიტეტთან მჭიდრო კონტაქტით. რესპუბლიკური ცენტრის საგამოფენო დარბაზში სსრ კავშირის სპორტკომიტეტის მიერ გამოფენილი 300 დასახელების ნაწარმიდან 50 ჩვენმა საწარმოებმა აიღეს დანერგვისათვის.

საუკეთესო ნიმუშების შესაბამისი სპორტული საქონლის გამოშვების გადიდება უნდა გახდეს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების ყოველდღიური ზრუნვის საგანი. ამასთან უნდა გადავწყვიტოთ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის საწარმოო კომბინატის რეკონსტრუქციისა და სპორტული ნაწარმის ახალი მრავალდარგოვანი სამრეწველო საწარმოს მშენებლობის საკითხები.

ნათქვამი მოწმობს, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების ახლანდელი მასშტაბის პირობებში რესპუბლიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის სისტემურ მართვას**. დროა, ბოლო მოეღოს მდგომარეობას, როცა ყველაფერი ეყრდნობა მხოლოდ ენთუზიაზმს, როცა საქმე კეთდება, პირდაპირ უნდა ითქვას, დილეტანტურად, სახელმწიფო ორგანოების ჯეროვანი მონაწილეობის გარეშე, როცა არ არის ეფექტიანი კოორდინაცია, იხარჯება დიდი ძალები და სახსრები, ეფექტი კი მცირეა.

(გაგრძელება მე-3 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაუმჯობესოთ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, უფრო მასობრივი გავხადოთ იგი!

გაგრძელება

პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ გასული წლიდან ფიზიკური კულტურისა და სპორტის ძირითადი მაჩვენებლები შედის ქვეყნისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმებში. ეს არის საკითხისადმი თვისებრივად ახალი მიდგომა, რომელიც არ შეგვიძლია არ გავითვალისწინოთ. ახლა უკვე საქმე ეხება **სახელმწიფო საგეგმო დისციპლინის** დაცვას, და მოთხოვნაც აქ თვისებრივად ახალია. უნდა ავამაღლოთ აღმასკომების, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, პროფსაბჭოს და, რა თქმა უნდა, საქართველოს სპორტკომიტეტის პასუხისმგებლობა, რომელიც მთელი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მაკოორდინირებელი და წარმმართველი **სახელმწიფო** ორგანოა.

სერიოზული დაბრკოლებაა ფიზკულტურისა და სპორტის მართვის ორგანოების **გათიშულობა** რაიონულ და საქალაქო **რგოლებში**. აქ ზოგჯერ უფროსი რამდენიმეა, **პასუხისმგებლობა** კი საქმიანობის საბოლოო **შედეგებისათვის** არსებითად არავის არ **აკისრია**. მთავარია, რომ ამ სფეროშიც უზრუნველვყოთ დარგობრივი და ტერიტორიული დაგეგმვისა და მართვის ოპტიმალური შეხამება. ესე იგი ამ შემთხვევაში საქმე ეხება ადგილებზე **მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობისა და მთელი რესპუბლიკისა და ქვეყნის მასშტაბით სპორტის ცალკეულ სახეობათა ინტერესების შეხამებას.**

ამ მუშაობის გაუმჯობესებისათვის კარგი საფუძველი შეიქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ, როცა წამოყენებული იქნა მოთხოვნა უფრო ფართოდ გავრცელდეს გამოცდილება, რომ თითოეულ რაიონში შეიქმნას კულტურულ-სპორტული კომპლექსები, რომლებიც, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, დაექვემდებარებიან ადგილობრივ საბჭოებს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი კომპლექსების ფარგლებში უფრო რაციონალურად იყენებენ მატერიალურ ბაზას, შტატებს, ფინანსურ რესურსებს, ხდება მათი კონცენტრაცია. ხერხდება უწყებრივი დაქსაქსულობის დაძლევა, პარალელიზმისა და დუბლირების აღმოფხვრა, მოსახლეობაში მასობრივი მუშაობის ეფექტიანობის მნიშვნელოვნად ამაღლება.

რესპუბლიკაში ამ მოძრაობის ინიციატორი გახდა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი. მან წარმოადგინა წინადადებანი სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომში ექსპერიმენტის სახით შეიქმნას მოსახლეობასთან მასობრივ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საკოორდინაციო საუწყებათაშორისო საბჭო. ეს ინიციატივა დიდ ყურადღებას იმსახურებს. ვფიქრობთ, რომ საკითხისადმი ასეთ მიდგომას შეუძლია თავისი დანიშნულება გაამართლოს ტერიტორიული თვალსაზრისით მთელი ამ მუშაობის მართვის პროცესში.

კიდევ უფრო რთული პრობლემები დგას უწყებრივი ასპექტით. ამჟამად რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას ხელმძღვანელობენ სპორტკომიტეტი, განათლების სამინისტრო, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, პროფსაბჭო, კომუნალური მეურნეობის სამინისტრო, სპორტული საზოგადოებანი „დინამო“, „განთიადი“, „ქარიშხალა“, „ლოკომოტივი“, „სპარტაკი“, „კოლმეურნე“, „ზენიტი“, არმიის სპორტული კლუბი, „ვოდნიკი“, „შრომითი რეზერვები“. დაუმატეთ კიდევ დოსააფი, სადაც თავმოყრილია სპორტის სამხედრო-ტექნიკური სახეობები, ცალკეულ სახეობათა ფედერაციები. თითოეულ ამ ორგანიზაციას აქვს საკუთარი სახსრები, ისახავს საკუთარ მიზნებს.

ამ საკითხთა გადაწყვეტაში ძირითადი მაკოორდინირებელი როლი ეკისრება სპორტკომიტეტს, მაგრამ მას არ გააჩნია რეალური იურიდიული და მატერიალური ბერკეტები. კარგად უნდა მოვიფიქროთ, როგორ ავამაღლოთ მისი გავლენა და ავტორიტეტი. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ რესპუბლიკური მასშტაბით მაკოორდინირებელი ფუნქციების სრულფასოვნად შესრულება შეიძლება მხოლოდ ფართო საზოგადოებრივ აქტივზე — **სპორტის სახეობათა ფედერაციებზე** დაყრდნობით.

საქართველოს სპორტკომიტეტმა წინადადება წამოაყენა მოეწყოს ფედერაციების მუშაობის რეორგანიზაცია, რათა მათში შეხამებული იყოს ხელმძღვანელობის სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფორმები. გათვალისწინებულია სამუშაო ჯგუფების შექმნა, რომელთაგან ერთი გადაწყვეტს სპორტული სკოლებისა და ბაზების დისლოკაციასთან, ფინანსური სახსრების რაციონალურ განაწილებასთან, უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად არსებული კომპლექსების დატვირთვასთან დაკავშირებულ სტრატეგიულ საკითხებს, მეორე — განახორციელებს სპორტის მოცემული სახეობის განვითარების ოპერატიულ ხელმძღვანელობას. სპორტის სახეობათა ფედერაციების თავმჯდომარეები არიან ავტორიტეტიანი ამხანაგები, რომელთაგან ბევრი ამ დარბაზში ზის. ვფიქრობ, მათ დააინტერესებს ეს წინადადება. და იმისათვის, რომ არ მივიღოთ ნაჩქარევი გადაწყვეტილებანი, მიზანშეწონილია ეს წინადადებანი გამოვაქვეყნოთ სპორტულ და ახალგაზრდულ პრესაში აზრთა ფართო გაზიარებისათვის.

რა თქმა უნდა, მუშაობა ამით არ ამოიწურება. კიდევ უნდა დავხვეწოთ მთელი სისტემა, გავხადოთ იგი მობილური და ქმედითი, ზუსტად განვსაზღვროთ მასში ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ადგილი.

ამასთან დაკავშირებით მეტ ყურადღებას მოითხოვს **ფიზკულტურულ-სპორტულ ნაგებობათა გეგმიანი მშენებლობის** პრობლემა. ამჟამად დაფინანსება ხორციელდება რამდენიმე არხით — სახელმწიფო ბიუჯეტიდან, პროფკავშირების, სპორტსაზოგადოებებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახსრებიდან, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ფონდებიდან. ეს ყოველთვის როდი იძლევა საშუალებას ეფექტიანად და მიზანმიმართულად გამოვიყენოთ სახსრები.

შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს, მაგალითად, ხობის რაიონის მცხოვრებლებმა — საცურაო კომპლექსი „იმედი“, რომელიც აგებულია ყველაზე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. დიდი ინიციატივა გამოიჩინეს პარტიის რაიკომმა, რაიკომის პირველმა მდივანმა. მაგრამ ეს კომპლექსი არსებითად შენდებოდა ცარიელ ადგილას, და ადგილობრივ ორგანოებს, რა თქმა უნდა, უნარი არ შესწევდათ სპორტკომიტეტის მონაწილეობის გარეშე მოეფიქრებინათ მისი შემდგომი ეფექტიანი ექსპლოატაციის საკითხები. ეს კი მეტად არსებითია. მხარი უნდა დავუჭიროთ ამხანაგებს, გავუწიოთ მათ დახმარება, რათა უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ შექმნილი ბაზა. ამასთან, ეს ფაქტი ადასტურებს, რომ სპორტული ობიექტების მშენებლობის, დაპროექტებისა და ექსპლოატაციის საკითხებზე მაკოორდინირებელ და მაკონტროლებელ ორგანოს როლს, ჩვენი აზრით, ისევ და ისევ რესპუბლიკის სპორტკომიტეტი უნდა ასრულებდეს, ამასთან ასრულებდეს სახელმწიფო პოზიციებიდან. მინისტრთა საბჭომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სახმშენთან და სხვა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უნდა განიხილოს რესპუბლიკის სპორტკომიტეტისათვის ასეთი უფლების მინიჭების საკითხი. მხოლოდ ისეთ საუწყებათშორისო ორგანოს, როგორიც სპორტკომიტეტია, შეუძლია ობიექტურად მიუდგეს სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის ადგილისა და დროის შერჩევის საკითხს, უზრუნველყოს ფულადი სახსრების კოოპერირება, წინასწარ მოიფიქროს კადრების დაკომპლექტების საკითხები და ა. შ. უნდა ვიფიქროთ კომიტეტის აპარატში შესაბამისი სამსახურების შექმნაზე.

IV.

რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების პრობლემების წარმატებით გადაწყვეტა მჭიდროდაა დაკავშირებული **სპორტული ორგანოებისა და დაწესებულებების საქმიანობის სტილის შემდგომ სრულყოფასთან, ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებასთან.**

უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება **რესპუბლიკის სპორტკომიტეტის** საქმიანობის სტილს. გარკვეული ძვრების მიუხედავად, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ მისი გაუმჯობესებისათვის. სპორტკომიტეტმა უკეთ უნდა გააერთიანოს და წარმართოს ყველა დაინტერესებული სამინისტროს, უწყების მეცადინეობა, უფრო მკაცრად აგოს პასუხი ფიზიკური კულტურისა და სპორტის მდგომარეობისათვის. მის აპარატში ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული მეცნიერულ-ანალიზური მუშაობა. არ არის საჭირო ოპერატიულობა, ზოგჯერ აკლია კონკრეტულობა. ადგილობრივ ქვეგანყოფილებებში დაბალია საშემსრულებლო დისციპლინა, ბევრია ფორმალიზმი, ყოველთვის სწორად როდი წყდება საკადრო საკითხები.

უწინარეს ყოვლისა, უნდა შევეხოთ სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობის პერსონალური პასუხისმგებლობისა და კომპეტენტურობის ამაღლებას. ამხ. რ. ა. გოგლიძე სისტემაში ახალი კაცია, მაგრამ მას აქვს პარტიული, კომკავშირული, საზოგადოებრივი მუშაობის დიდი გამოცდილება, კარგი ორგანიზატორული ნიჭი. სწორედ ამიტომ ვანდეთ მას ეს პოსტი. დროა მან იმოქმედოს უფრო მტკიცედ, უფრო ღრმად ჩასწვდეს ყველა საკითხს. თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. ვ. დ. შუბლაძემ, მოადგილეებმა ამხ. შ. მ. ქველიაშვილმა, ამხ. ნ. პ. ებრალიძემ, ამხ. ა. ი. მეტრეველმა უფრო მკაფიოდ და ნათლად უნდა განსაზღვრონ თავიანთი ფუნქციები, მთელი სისრულით იკისრონ პასუხისმგებლობა ფიზკულტურისა და სპორტის იმ სფეროების განვითარებაში საბოლოო შედეგებისათვის, რომლებსაც ისინი უწევენ კურირებას. მაგალითად, სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადისათვის მზადების დროს ამხანაგები ნ. პ. ებრალიძე და ა. ი. მეტრეველი მნიშვნელოვნად შეცდნენ თავიანთ პროგნოზებში, გადაჭარბებით შეაფასეს რესპუბლიკის ზოგიერთი ნაკრები გუნდის შესაძლებლობანი, ყოველთვის კომპეტენტურად როდი წყვეტდნენ ამ პრობლემებს. და არავინ — არც სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ, არც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სპარტაკიადისათვის მზადების საორგანიზაციო კომიტეტმა — არ მისცეს ამას პრინციპული შეფასება. დროა გადაჭრით აღმოვფხვრათ ასეთი თვითდამშვიდების, გაუმართლებელი ოპტიმიზმის ტენდენცია.

საქართველოს სპორტკომიტეტმა, მისმა პარტიულმა ორგანიზაციამ, აპარატის ყველა პასუხისმგებელმა მუშაკმა ამ კრიტიკიდან სერიოზული დასკვნები უნდა გამოიტანონ. საჭიროა უფრო მჭიდრო ურთიერთმოქმედება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, განათლების სამინისტროსთან, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და სხვა სამინისტროებთან და უწყებებთან. მეორე მხრივ კი, როცა საჭიროება მოითხოვს, უფრო მწვავედ და პრინციპულად უნდა დავსვათ საკითხები რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინაშე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წინაშე.

მინდა გამოვთქვა მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს სპორტკომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა უფრო კომპეტენტურად და საგნობრივად მოჰკიდებს ხელს ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების პრობლემებს, შეძლებს დაძლიოს ნაკლოვანებები და მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობა აიყვანოს პარტიის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე.

მაღალი მიღწევები თანამედროვე სპორტში წარმოუდგენელია **ისე, თუ აქტიურად არ გამოვიყენეთ მეცნიერული მიღწევები.** რესპუბლიკის სპორტკომიტეტს ამ საქმეში მნიშვნელოვანი დახმარება უნდა გაუწიოს ჩვენმა ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, სხვათა შორის, ქვეყანაში არსებული სამი ასეთი ინსტიტუტიდან ერთ-ერთმა. ამავე დროს, ეს ინსტიტუტი ჯერჯერობით თავს ვერ ართმევს რესპუბლიკაში მეცნიერულ-მეთოდიკური მუშაობის ცენტრის მასზე დაკისრებულ ფუნქციებს. საჭიროა განვახორციელოთ ინსტიტუტის საკადრო შემადგენლობის განმტკიცების ღონისძიებანი და ამისათვის გამოვიყენოთ მიზნობრივი ასპირანტურა და მომზადების სხვა ფორმები, უფრო ფართოდ დავნერგოთ ერთობლივი მუშაობა მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, განათლების სამინისტროს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და სხვა სამინისტროებისა და უწყებების თანამშრომლებთან, უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერებთან და ა. შ.

გარკვეულ გადასინჯვას მოითხოვს გამოკვლევების თემატიკაც, რომელიც უკეთ შეუწყობს ხელს მშრომელთა ფართო ფენების ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებასა და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადებას, მათ შორის რეზერვის მომზადებას. კარგი იქნებოდა ცენტრალური კომიტეტის სამდივნოზე გაგვეხილა ინსტიტუტის ხელმძღვანელობის საქმიანობის სტილი. ამ დაწესებულების გავლენას ბევრი ვერ გრძნობს, ბევრმა არც იცის მისი არსებობა.

წამყვანი სპორტსმენების მომზადების მეცნიერულ უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტსაც. გარკვეული პროგრესის მიუხედავად, ამ მიმართულებით მუშაობა ჯერ კიდევ ძლიერ ჩამორჩება პრაქტიკის გაზრდილ მოთხოვნებს. საჭიროა გაუმჯობესდეს წვრთნის თანამედროვე მეცნიერული მეთოდების დანერგვა, ნიჭიერი ახალგაზრდობის შერჩევა სპეციალიზებული მომზადებისათვის, უფრო ეფექტიანად გადაიჭრას ბევრი სხვა პრობლემა. უნდა ითქვას, ინსტიტუტი ჯერ კიდევ ვალშია ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წინაშე.

ინსტიტუტის მეცნიერულ-მეთოდიკურ დახმარებას ყოველდღიურად უნდა გრძნობდნენ პედაგოგიური უმაღლესი სასწავლებლების ფაკულტეტები, რომლებიც ამზადებენ სკოლის მასწავლებლებს. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, ფიზკულტურის ტექნიკუმი, თბილისის უნივერსიტეტთან არსებული უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკური აღზრდის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტი.

თანამედროვე სპორტში იზრდება **მწვრთნელთა კადრების როლი.** ვინ არ იცნობს ახალგაზრდობის ისეთ შესანიშნავ დამრიგებლებს, როგორიც არიან ა. ჯაფარიძე, გ. პაპიტაშვილი, ი. გუტიაკულოვი, ვ. მესტვირიშვილი, გ. ჯაფარიძე, გ. ბოლქვაძე, ი. ბობოხიძე, დ. ხაბულიანი, ფ. მარტყოფლიშვილი, პ. ბურჯანაძე, ნ. სალაძე, გ. ხაჩატუროვი, ი. პესაჩინსკი, გ. ჯოხაძე და სხვები. მათ ბევრი შესანიშნავი სპორტსმენი აღზარდეს.

მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ მწვრთნელთა კადრების მომზადების, განაწილებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში რესპუბლიკაში არსებითი ნაკლოვანებებია. განა შეგვიძლია შევურიგდეთ იმას, რომ ჩვენი მწვრთნელების ნახევარზე მეტი შეთავსებით მუშაობს? უმაღლესი ფიზკულტურული განათლება რესპუბლიკაში აქვს მწვრთნელთა მხოლოდ 35 პროცენტს, უმაღლესი კვალიფიკაცია კი — მხოლოდ 12 პროცენტს. ამასთან ჩვენი მწვრთნელების უმრავლესობამ სპეციალური ცოდნა მიიღო 15-20 წლის წინათ და ეს ცოდნა ბევრად მოძველდა. ამრიგად. მომწიფდა საკითხი ფიზკულტურის ინსტიტუტის ბაზაზე, სხვა სფეროების ანალოგიურად, შეიქმნას ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სპეციალური ფაკულტეტი.

სპორტულ კადრებზე რომ ვლაპარაკობთ, არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ საქართველოს ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი — ბ. პაიჭაძე, ე. გოკიელი, ა. ნავასარდოვი, მ. ჯუღელი, რ. შავლაყაძე, ვ. სანეევი, ვ. ბალავაძე, ა. ცხოვრებოვი, დ. იოსელიანი, ო. ფხაკაძე, რ. სიხარულიძე, დ. კვაჭაძე, ნ. ტარკილი და ბევრი სხვა, რომლებსაც არ მიუტოვებიათ სპორტული ასპარეზი, მუშაობენ ახალგაზრდობასთან, გულუხვად უზიარებენ მას ცოდნასა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ჩვენ სულითა და გულით მადლობელი ვართ ამისათვის.

სპორტსმენს ადრე თუ გვიან უწევს დიდი სპორტის მიტოვება, და ეს უბრალო სოციალური პრობლემა როდია. ძალიან სასიხარულოა, რომ სოციოლოგიური კვლევის დროს გამოკითხული 700 ცნობილი სპორტსმენიდან ყოველი მეხუთე აღმოჩნდა მეცნიერი, ამასთან, შვიდი იყო მეცნიერების დოქტორი და 35 მეცნიერებათა კანდიდატი. სამწუხაროდ, ვხვდებით სხვა, დამაფიქრებელ ტენდენციებსაც. ეს ხშირად დაკავშირებულია გამოცდილებისა და ცოდნის ფლანგვასთან.

ძალზე საჭიროა დავეხმაროთ ცნობილ სპორტსმენს წინასწარ განსაზღვროს თავისი ადგილი ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც თავს მიანებებს დიდ სპორტს. აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული მწვრთნელზე, სპორტული საზოგადოებების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებზე. გამოჩენილი სპორტსმენები უფრო აქტიურად უნდა ჩავაბათ სამეცნიერო, ორგანიზატორულ საქმიანობაში, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, სამეურნეო ორგანოებში. მათ კარგი ავტორიტეტი აქვთ, ადამიანებს სჯერათ მათი, ყურად იღებენ მათ აზრს. სპორტსმენები ხელში არ უნდა ჩავუგდოთ უპატიოსნო ადამიანებს, საქმოსნებსა და თაღლითებს, რომლებიც ხშირად ანგარებითი მიზნით იყენებენ მათ პოპულარობას, ცდილობენ შენიღბვის საშუალებად გამოიყენონ იგი.

ერთ-ერთი ჩვენი პუბლიცისტის განსაზღვრით, სპორტი — ეს არის ადამიანის მაქსიმუმი დროის მინიმუმში. ჩვენ არა გვაქვს უფლება დავივიწყოთ, რომ ასეთი ფორმულა მოითხოვს უდიდეს თავდადებას, ფიზიკური და სულიერი ძალების კოლოსალურ ხარჯვას. მაშასადამე, მეტად უნდა ვიზრუნოთ იმათთვის, ვინც ძალ-ღონის დაუზოგავად იცავს საბჭოთა სპორტის დიდებას, ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას. ეს ეხება ვარჯიშისა და ძალების შემდგომი აღდგენის პირობებსაც, სხვადასხვა საარსებო მოთხოვნების დაკმაყოფილებასაც. მაგრამ, რა თქმა უნდა, მეტისმეტი არ უნდა მოგვივიდეს, არ უნდა დავუშვათ სხვისი მოიმედეობა. ასეთი განწყობა სულაც არ შეჰფერის დიდ სპორტსმენს.

სრულიად დაუშვებელია ხარვეზები და ნაკლოვანებანი **სპორტსმენებთან იდეოლოგიურ, პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში.** სამწუხაროდ, ზოგიერთ მათგანს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, საკმარისად არა აქვთ გამომუშავებული ისეთი დიდმნიშვნელოვანი თვისებები, როგორიცაა გამარჯვების სურვილი, სამშობლოს, ხალხის წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა. ზოგჯერ ცალკეული პიროვნებების გარშემო არაჯანსაღი აჟიოტაჟი იქმნება. ადგილებზე აქტიური ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, ნიჭიერი სპორტსმენების ძიება და აღზრდა ხშირად ადამიანების გადაბირებით იცვლება. ასეთი არაჯანსაღი ატმოსფერო ახასიათებს, მაგალითად, ზოგიერთ ადგილობრივ ფეხბურთის ფედერაციას.

ჩვენ ვემხრობით სპორტულ ასპარეზზე პატიოსან მეტოქეობას და არა ბატალიებს უწყებრივ ნიადაგზე, ზოგიერთ ხელმძღვანელ კაბინეტში არაჯანსაღი კონკურენცია არ გვჭირდება. ვფიქრობთ, რომ სპორტულ მუშაობაში ყოველგვარი შეცდომა — ეს არის გარკვეული ხარვეზი აღმზრდელობით საქმიანობაში და ამიტომ ვაყენებთ ასე მწვავედ ამ საკითხებს. სპორტი ხომ დიდმნიშვნელოვანი იდეოლოგიური ბერკეტია. სპორტსმენის სახე უზადო უნდა იყოს, იგი ეტალონი უნდა გახდეს ჩვენი ახალგაზრდობისათვის, უნდა იძლეოდეს მაღალი დისციპლინისა და ორგანიზებულობის, მაღალი კულტურის სანიმუშო მაგალითს.

ეს უაღრესად საჭიროა გვახსოვდეს ახლა, როცა ქვეყნის სპორტული ორგანიზაციები იწყებენ 1984 წლის ოლიმპიური ასპარეზობისათვის მზადების გადამწყვეტ ეტაპს. ქვეყნის მთელი რიგი ნაკრები გუნდების ცენტრალიზებული მზადება სარაევოს ზამთრის XIV ოლიმპიური ასპარეზობისა და ლოს-ანჯელესის ზაფხულის XXIII ოლიმპიური ასპარეზობისათვის მიმდინარეობს რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე. ცენტრალური კომიტეტის სამდივნოზე სპეციალურად განვიხილეთ ეს საკითხი და დავსახეთ საბოლოო შეკრების წარმატებით მოწყობის კონკრეტული ღონისძიებანი, მათ

(დასასრული მე-4 გვ.)

გავაუმჯობესოთ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა, უფრო მასობრივი გავხადოთ იგი!

დასასრული

შორის გავითვალისწინეთ სპორტსმენების იდეოლოგიურ მომზადებასთან დაკავშირებული მომენტები.

მეორე მხრივ, ჩვენი ოლიმპიელების წვრთნა უნდა გამოვიყენოთ რესპუბლიკის ახალგაზრდებს შორის, მთელ მოსახლეობაში ამა თუ იმ სახეობის სპორტის პოპულარიზაციისათვის. ფიზკულტურისა და სპორტისათვის აგიტაციიდან დროა გადავიდეთ აქტიურ მეცადინეობაზე სპორტში. სპორტული ასპარეზობა უნდა ამშვენებდეს ყველა ჩვენს დღესასწაულსა და მასობრივ ღონისძიებას. ამასთან, უნდა ვიღვაწოთ, რომ ამ ღონისძიებათა მონაწილენი არ შემოიფარგლონ მხოლოდ მაყურებლის მდგომარეობით და თავადაც აქტიურად მიიღონ მონაწილეობა სპორტულ შეჯიბრებებსა და კონკურსებში.

უფრო აქტიურად უნდა გამოვიყენოთ სპორტი **მოზარდებს, ახალგაზრდებს შორის სამართალდარღვევების პროფილაქტიკისათვის.** სპორტი — ეს დისციპლინის განმტკიცების მძლავრი საშუალებაა. იგი აჩვევს ადამიანს ორგანიზებულობასა და წესრიგს, უნერგავს პასუხისმგებლობას თავისი მოქმედებისათვის, საკუთარი ძალების რწმენას, საკუთარი ღირსების გრძნობას. სპორტის მეშვეობით უკეთ ჩავწვდებით ადამიანის გულსა და გონებას, გამოვასწორებთ იმათ, ვინც შეცდა ან შეიძლება შეცდეს.

აქ ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ცნობილი სპორტსმენების როლი, რომლებსაც ურყევი ავტორიტეტი აქვთ მოზარდის თვალში. ფართოდაა ცნობილი სახელოვანი სპორტსმენების — ბ. პაიჭაძის, ვ. სანეევის, რ. რურუას, დ. კვაჭაძის, ვ. გუცაევის, ნ. ბიგანიშვილისა და სხვათა კლუბები. ბევრს აკეთებს კომკავშირი. შარშან პირველად მოეწყო ასეთი კლუბების სპარტაკიადა. ყოველწლიურად იმართება რესპუბლიკური სპარტაკიადა ძნელად აღსაზრდელებსა და მოზარდებს შორის.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ აფასებს სპორტის, როგორც მოზარდ თაობაში სამართალდარღვევების პროფილაქტიკის ერთ-ერთი საშუალების როლს.

ყველას ახსოვს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის ლევან თედიაშვილის მოწოდება სპორტულ სექციებში ძნელად აღსაზრდელი მოზარდების ჩაბმის თაობაზე. სამწუხაროდ, რესპუბლიკაში მხოლოდ 42 სპორტსმენი უწევს მათ შეფობას. ვფიქრობ, რომ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად სათავეში უნდა ჩაუდგეს ამ მუშაობას.

ახალგაზრდობას ახასიათებს მჩქეფარე ენერგიის გამოვლენა. სპორტი ამის დიდ შესაძლებლობას იძლევა, თავიდან აცილებს მას ლოთობასა და ნარკომანიას. ავიღოთ, მაგალითად, ალპინიზმი, რომელიც ნამდვილად მამაცი ადამიანების სპორტია. ჩვენი რესპუბლიკა სამართლიანად ითვლება საბჭოთა ალპინიზმის სამშობლოდ, ხოლო ქართველი მთასვლელები მის ფუძემდებლებად არიან მიჩნეული. დიდი სამამულო ომის წლებში რესპუბლიკის ორი ათასამდე სპორტსმენი მონაწილეობდა ჯარის იმ ნაწილების სამთო-სათხილამურო მომზადებაში, რომლებმაც კავკასიონის უღელტეხილებზე შეაჩერეს ჰიტლერელთა რჩეული დივიზიები. ქართველ ალპინისტთა სახელებთანაა დაკავშირებული ურთულესი ასვლები პამირზე, ტიანშანზე, კავკასიონზე.

სამწუხაროდ, სპორტის ამ ლამაზი და მამაცი სახეობის პოპულარობა რესპუბლიკაში კლებულობს. არადა, მისი განვითარებისათვის ყველაფერი გვაქვს — ბუნებრივი პირობებიც, მატერიალური ბაზაც, ღირსეული მაგალითიც, გამოცდილებაც. უკეთ უნდა გავუწიოთ პროპაგანდა და პოპულარიზაცია ალპინიზმს. ეს ადამიანთა ურთიერთობის ბრწყინვალე სკოლაა.

ამასთან დაკავშირებით თავისთავად გამოგვაქვს დასკვნა, რომ **უკეთ უნდა დავუკავშიროთ მასობრივი ფიზკულტურისა და სპორტის განვითარება სოციალური ამოცანების გადაჭრას, ჩვენი პარტიის ვრცელი სოციალური პროგრამის განხორციელებას.** ავიღოთ, მაგალითად, სპორტის ზამთრის სახეობები. რესპუბლიკას მათი განვითარების უნიკალური შესაძლებლობანი აქვს. შესანიშნავი მასივები ბაკურიანში, გუდაურში, ბახმაროში, სვანეთში, სხვა რაიონები საშუალებას გვაძლევს ზამთრის სპორტი ვაქციოთ მშრომელთა დასვენების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახეობად.

ამასთანავე წყდება ისეთი დიდმნიშვნელოვანი სოციალური პრობლემა, როგორიცაა მუშა-მოსამსახურეთა შვებულების ორგანიზაციის საკითხი. საიდუმლო არ არის, რომ ახლა ადამიანთა დიდ უმრავლესობას ურჩევნია შვებულება აიღოს ზაფხულში, რაც ზოგჯერ უდიდეს სირთულეებს იწვევს ეკონომიკაში. ამასთან ზამთრის დასვენება შეიძლება არანაკლებ პოპულარული გახდეს, თუ მას კარგად მოვაგვარებთ. ჩვენში, სხვათა შორის, ზამთარშიც ზაფხულზე არანაკლები მზიანი დღეებია.

გამოვიანგარიშეთ, რომ პერსპექტივაში მარტო გუდაურში 5-6 თვის მანძილზე შეიძლება დაისვენოს დაახლოებით 250 ათასმა კაცმა. მთლიანად კი რესპუბლიკას, რა თქმა უნდა, შესაბამისი ხარჯების გაღებით, შეუძლია ზამთრის დასვენებისა და ტურიზმის პირობები შეუქმნას ყოველწლიურად მილიონზე მეტ კაცს.

ეს კომპლექსური პრობლემაა. და სასიხარულოა, რომ, მაგალითად, სამომხმარებლო კოოპერაციამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი, კერძოდ, გუდაურში, მის რეალიზაციას. ცეკავშირს შეუძლია მთლიანად უზრუნველყოს დამსვენებლები და ტურისტები ყველაფრით — მოაწყოს კვება, საყოფაცხოვრებო მომსახურება, მოაგვაროს სუვენირების გამოშვება და რეალიზაცია, გადაწყვიტოს სპორტული ინვენტარის საკითხი და ა. შ. აქ უკვე შექმნილია ტურისტულ-სამეურნეო კომპლექსი, და მისი განვითარებისათვის ნამდვილად სახელმწიფო ზრუნვა უნდა გამოვიჩინოთ.

ამასთან გუდაური თბილისიდან სულ რაღაც საათ-ნახევრის სავალზეა. აქ თავისუფლად შეიძლება ჩამოსვლა დასვენების დღეებში. ამიტომ დგება სასტუმრო მეურნეობის ინტენსიური განვითარების, სპეციალური საწეველების, სხვა ნაგებობების მშენებლობის საკითხი და ა. შ. ამხ. ს. ე. ხაბეიშვილსა და ამხ. ო. ე. ჩერქეზიას ვთხოვთ სპეციალურად განიხილონ ყველა ეს საკითხი. ახალი კურორტის, გუდაურის განვითარება თბილისის ყველა ორგანიზაციის საზრუნავი უნდა გახდეს. დარწმუნებული ვარ, გავა დრო და ეს კურორტი გახდება გამოჩენილი სპორტსმენების აღსაზრდელი ბაზა და ჩვენი ახალგაზრდობის ყველაზე პოპულარული დასასვენებელი ადგილი, სადაც იგი გაიკაჟებს ჯანმრთელობას.

ვფიქრობ, რომ საერთოდ, ყოველთვის სწორად არ განვმარტავთ მასობრივი სპორტის ცნებას, უნებლიეთ გვიტაცებს მეტისმეტი ორგანიზაციულობა, უფრო ქაღალდების გაფორმებისათვის ვზრუნავთ, ვიდრე ადამიანებისათვის. ამავე დროს, აქ საუკეთესო მეთოდია სპორტისა და ადამიანთა დასვენების შეხამება. საქმე მარტო ზამთრის დასვენებას როდი ეხება. ჩვენ სრულებით არ ვფიქრობთ იმაზე, თუ სწორად როგორ მოვაგვაროთ სპორტში მეცადინეობის თვალსაზრისით ზაფხულის დასვენებაც. ზღვაზე დამსვენებელთა უმრავლესობა უაღრესად პასიურ ცხოვრებას ეწევა. და ან კი რა შეგვიძლია მათ შევთავაზოთ? უკანასკნელ ხანს ხომ სრულებით არ ვითარდება სპორტის საწყლოსნო სახეობები და არავინ არ მისდევს მას სერიოზულად.

პირობები უნდა შევუქმნათ თვითმოქმედ ალპინიზმსა და ტურიზმს, მოვამზადოთ ფასიანი ინსტრუქტორები, მოვაგვაროთ ადამიანთა ღამისთევის პირობები და კვება. საჭიროა, რომ უსაგზუროდ გზასგამდგარი კაცი საფრთხეში არ იგდებდეს თავს. ამისათვის არც ისე ბევრია საჭირო.

კარგი პერსპექტივები გადაიშალა რესპუბლიკაში საცხენოსნო ტურიზმისათვის. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტში ამხანაგებმა უკვე მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი. დაისახა საინტერესო მარშრუტები, გაჩნდნენ პირველი ენთუზიასტები. მათ შორის არიან ხელმძღვანელი ამხანაგებიც, პირად მაგალითს ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთივე შესაძლებლობები აქვს ცეკავშირს. სამთო ტურიზმი, საცხენოსნო სპორტი ფართოდ არის ხელმისაწვდომი ახალგაზრდობისათვის. სპორტის ეს სახეობები სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის და ამასთან ეხმარება მათ უკეთ გაიცნონ მშობლიური მხარე, კიდევ უფრო მეტად შეიყვარონ იგი.

ისე უნდა წარვმართოთ საქმე, რომ ქალაქების მცხოვრებთ შეეძლოთ ნებისმიერ დღეს, მათთვის მოსახერხებელ დროს მივიდნენ სტადიონზე, სპორტულ დარბაზში, იყიდონ ბილეთი და თავისი დასვენების დღე მოახმარონ სპორტულ მეცადინეობას. ბევრი კი გვაქვს ჩვენ ახლა ასეთი დარბაზი? ყველგან ყველაფერი დაპროგრამებულია — სამშაბათი, ხუთშაბათი, შაბათი ან სხვა დღეები.

ნათქვამი მოწმობს, რომ დროა მასობრივი სპორტის განვითარება პრინციპულად ახალ კალაპოტში მოვაქციოთ.

ჩვენი **პრესის, ტელევიზიისა და რადიოს** მიზანია, კიდევ უფრო აქტიური პოზიცია დაიკავოს ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმეში. სამწუხაროდ, ისინი, როგორც წესი, იფარგლებიან მხოლოდ სპორტული ინფორმაციით, მატჩებისა და შეჯიბრებების ტრანსლაციით. ჩვენ ხშირად ბევრად უკეთ ვართ ინფორმირებული საზღვარგარეთელი „ვარსკვლავების“, ვიდრე ზოგიერთი ჩვენი გამოჩენილი სპორტსმენის შესახებ. მე უკვე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ საფუძვლიანი პრობლემური გამოსვლები ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკითხებზე მეტად იშვიათად გვხვდება.

სასიხარულოა, რომ რამდენადმე გაუმჯობესდა ჩვენი სპორტული გაზეთის „ლელოს“ შინაარსი, იგრძნობა, რომ პრობლემებისადმი მიდგომა სხვაგვარი ხდება. ზოგიერთი საკითხი უფრო მწვავედ და პრინციპულად შუქდება. როგორც ჩანს, ეს არ მოეწონა ზოგიერთ ჩვენს სპორტულ ხელმძღვანელს, რომლებიც, ალბათ, უკვე გადაეჩვივნენ კრიტიკას. უნდა დავძლიოთ ჩვენში ეს ნაკლი, მეტი ყურადღება და დაინტერესება გამოვიჩინოთ გაზეთის გამოსვლებისადმი, ეფექტიანად გამოვიყენოთ ეს ტრიბუნა პრინციპული მსჯელობისათვის.

ისევე როგორც სხვა სფეროებში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს **ფიზიკური კულტურისა და სპორტის პრობლემების გადაჭრისადმი პარტიული ხელმძღვანელობა.** ეს ხომ მარტო სპორტკომიტეტის, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების საქმე არ არის. ეს საერთო სახელმწიფო, საერთო პარტიული ამოცანაა.

რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები ბოლო დროს ბევრს მუშაობენ ამ საკითხებზე. ისმენენ მათ ბიუროზე, შეაქვთ ისინი პერსპექტიულ და მიმდინარე გეგმებში.

მაგალითად, უნდა აღინიშნოს პარტიის ქ. თბილისის საქარხნო რაიკომის ინიციატივა. ბიუროს გადაწყვეტილებით, რაიონის სამოც ეზოში საწარმოთა კოლექტივების დახმარებით შეიქმნა კომპლექსური სპორტული მოედნები, პავილიონები თამაშებისთვის, ეზოს სპორტული კლუბები. სპორტის მრავალ ტრადიციულ სახეობასთან ერთად თელავის რაიონში გაჩნდა ჩოგბურთის, ხელბურთის, სამთო-სათხილამურო სპორტის სექციები. თელაველებმა რესპუბლიკაში პირველებმა მოჰკიდეს ხელი სოფლის პირობებში „სტადიონი ყურისძირში“ დევიზის განხორციელებას. მნიშვნელოვნად გააძლიერეს ფიზკულტურული მოძრაობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა ქუთაისის, სამტრედიის, გაგრის პარტიულმა კომიტეტებმა.

სამწუხაროდ, არის ისეთი მაგალითებიც, რომ ადგილობრივი პარტიული კომიტეტები ნელა გარდაიქმნებიან, როცა ზოგიერთი ჩვენი პატივცემული და საერთოდ ინიციატივიანი ხელმძღვანელი ზოგჯერ ავლენს სრულ ინერტულობას ფიზიკური კულტურის განვითარებისადმი. ჩვენში, გულახდილად ვიტყვი, ხშირად ვხვდებით ორ უკიდურესობას — ამხანაგები ან ზედმეტად ერევიან სპორტული ორგანიზაციების საქმიანობაში, გუნდში მოთამაშეებსაც კი ანაწილებენ ან ყველაფერზე კვერს უკრავენ, ასრულებენ ყველა თხოვნასა და სურვილს, ფიზკულტურისა და სპორტის პრობლემების პარტიული ხელმძღვანელობის სწორი სტილი გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, **სპორტული ორგანოებისათვის საქმიან მხარდაჭერასა და დახმარებას მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში,** მაგრამ წვრილმანი მეურვეობის გარეშე. და უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება მასობრივ ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას.

როგორც გორისა და ყვარლის რაიონებისა და ტყიბულის საქალაქო პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზმა ცხადყო, ბევრ შრომით და სასწავლო კოლექტივში მეცადინეობას ფიზკულტურასა და სპორტში ჯეროვნად არ იყენებენ მშრომელების, ბავშვებისა და მოზარდების ჯანმრთელობის განმტკიცების, დაავადებათა პროფილაქტიკის, შრომისუნარიანობის აღდგენის, აქტიური დასვენების ორგანიზაციისათვის. სპორტული ბაზები საკმარისად დატვირთული არ არის არასამუშაო და არასასწავლო დროს, დასვენების დღეებში.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გორელმა და ტყიბულელმა ამხანაგებმა უკვე ბევრი რამ გააკეთეს აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. ეს ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან შექმნილი ფიზიკური კულტურისა და სპორტის პრობლემების სპეციალური სამუშაო ჯგუფის სასარგებლოდ მეტყველებს. მის სხდომებზე პარტიულ მუშაკებთან, სხვა ხელმძღვანელებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებენ ფიზკულტურისა და სპორტის ცნობილი მოღვაწენი, სპორტსმენები, რომლებიც დიდ დაინტერესებას იჩენენ ყველა საკითხის ოპერატიული გადაწყვეტისადმი.

უფრო ენერგიულად უნდა იმოქმედონ ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტებმა. უფრო აქტიურად უნდა შეიარაღდნენ ხელმძღვანელობის იმ სტილით, რომელიც იქმნება პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ზოგიერთ რაიონულ და საქალაქო კომიტეტში. მუდამ უნდა ვიცოდეთ, რას აკეთებს ესა თუ ის ხელმძღვანელი, სპორტული ორგანიზატორი, მწვრთნელი, სტადიონის დირექტორი, რა სიახლე გაჩნდა მათი ინიციატივით ფიზკულტურის, სპორტსკოლის, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების, სპორტკომიტეტის, სპორტული ბაზის კოლექტივების მუშაობაში, რა თვისებრივი ცვლილებები მოხდა გასულ წელთან შედარებით. სწორედ ეს არის უნარიანი ორგანიზატორული, პარტიული მუშაობის მთავარი აზრი.

აქტივის მონაწილეებს დაურიგდათ რესპუბლიკაში მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ძირითად ღონისძიებათა გეგმა. ეს საკითხები საკმაოდ დაწვრილებით აისახა მასში. ვფიქრობთ, ეს შესაძლებლობას მოგვცემს მკვეთრად ავამაღლოთ მიმდინარე მუშაობის ეფექტიანობა.

ჩვენი პარტია და სახელმწიფო ყოველ ღონეს ხმარობენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის, კოლოსალურ სახსრებს ახმარენ ამ მიზნებს. **ფიზიკურ კულტურას ჩვენში მიიჩნევენ ხალხის საერთო კულტურის განუყოფელ შემადგენელ ნაწილად, რომლის მონაპოვრებსაც უნდა ეზიაროს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების თითოეული წევრი.**

სოციალისტური, მით უმეტეს კომუნისტური საზოგადოება — ეს ფიზიკურად ძლიერი, ზნეობრივად სრულყოფილი, ამტანი და გამოწრთობილი ადამიანების საზოგადოებაა. მხოლოდ სრულფასოვანი ჯანმრთელობის მქონე პიროვნებებს შეუძლიათ უმეტესი ეფექტით ნაყოფიერად იშრომონ ფიზიკურად და გონებრივად, სრულად განიცადონ ადამიანებთან, ბუნებასთან და ხელოვნებასთან ურთიერთობის სიხარული, თვით ყოფიერების სიხარული.

ერთი სიტყვით, ჩვენ მხარს ვუჭერთ სპორტს, მისი პოპულარობის შემდგომ ზრდას! ჩვენ მხარს ვუჭერთ იმას, რომ იმრავლოს საბჭოთა სპორტის სახელმა, რომლის მიღწევებს საფუძვლად უდევს ნამდვილი მასობრიობა; ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების ჭეშმარიტი დემოკრატიზმი.

დაიწყო ახალი ოლიმპიური წელი. ვსარგებლობ რა იმით, რომ ჩვენ დღეს გვესწრება ბევრი ადამიანი, რომლებიც თავის ძალასა და ენერგიას ახმარენ საბჭოთა სპორტის აყვავებას, მინდა გისურვოთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალი წარმატებები და მიღწევები თქვენს კეთილშობილურ ასპარეზზე. გვწამს ჩვენი სპორტსმენების მომავალი ლამაზი გამარჯვებები, რომლებიც განამტკიცებენ ხალხთა შორის მეგობრობასა და მშვიდობას!

გისურვებთ ბედნიერებასა და ჯანმრთელობას, ძვირფასო ამხანაგებო!

ინფორმაცია

წყალბურთი

გუშინწინ ტაშკენტსა და კიევში გაიმართა წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მატჩები. ტაშკენტი: „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი) 9:5, „დინამო“ — „ტორპედო“ (ორივე — მოსკოვი) 11:7, „დინამო“ (თბილისი) — „მეხნატი“ (ტაშკენტი) 10:10; კიევი: სსფ ცსკ — „დინამო“ (ალმა-ათა) 10:8, კწფ (ბაქო) — „დინამო“ (ლვოვი) 9:12, „დინამო“ (კიევი) — „მოსკვიჩი“ (მოსკოვი) 8:6.

ამრიგად, გამოვლინდა ექვსი უძლიერესი გუნდი, რომელიც ჩემპიონატის მედლებისთვის გააგრძელებს ბრძოლას. ესენია: სსფ ცსკ, მოსკოვის „უნივერსიტეტი“, ლვოვის, კიევისა და ალმა-ათის „დინამო“ და ლენინგრადის „ბალტიკა“. ეს კლუბები ორ წრედ ჩაატარებენ მედლებისთვის ბრძოლას. პირველი წრე გაიმართება 8-12 თებერვალს მოსკოვის აუზ „ოლიმპიურში“.

კალათბურთი

გუშინწინ კაუნასში დაიწყო კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრის შეხვედრები. ცსკა-მ ანგარიშით 102:74 დაამარცხა ტაშკენტის „უნივერსიტეტი“, ხოლო ადგილობრივმა „ჟალგირისმა“ ანგარიშით 118:75 თბილისის „დინამო“. კიევის გუნდების „სტროიტელისა“ და ასკ-ს შეხვედრაში გაიმარჯვეს არმიელებმა 71:66.

გუშინ თბილისის „დინამოსა“ და კიევის „სტროიტელის“ შეხვედრაში გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 93:92.

რედაქტორი ა. გოგელია.

ვ. ი. ლენინის სახელობის
„დინამოს“ სტადიონი
28 იანვარი
ფეხბურთი
საერთაშორისო ამხანაგური
შეხვედრა
„დინამო“ (თბილისი) —
„ოლიმპია“ (ლიუბლიანა,
იუგოსლავია).
დასაწყისი 16 საათზე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
ИНДЕКС 66435
გაზეთი კორპუსში, ხოშარაულის, გვ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
უე 07038